შპს „საინჟინრომონიტორინგისჯგუფი“-სისპექტირებისორგანო
თბილისი 0101, ეროსიმანჯგალაძისქ. N35;
E M G
კალ. ქუთათელაძისქ. N8.
ტელ.+995555554034E-Mail Emgroup016@gmail.com

სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013
GAC–IB-0100

ქ. თბილისში, მიქელაძის N6 (ისნის რაიონი) საინჟინრო გეოლოგიური, დაგეგმილი მშენებლობის ზემოქმედების შეფასება მომიჯნავე შენობა ნაგებობებზე. შენობა ნაგებობების მდგრადობის კვლევა მისი მდგომარეობის დაფიქსირებისათვის;

შეფასება/ინსპექტირების

ანგარიში

N000153

26.04.2017

ინსპექტირების ჩატარების საფუძველი:

დამნიშნავი: შპს „ცენტრალ ჯორჯია პლიუსი" ს/კ 405160374

თანამდებობა წარმომადგენელი: დირექტორი მეჰმეთ ჰასდოღან

მისამართი: ქ. თბილისი. მიქელაძის N6

საფუძველი: ხელშეკრულება N069/04-17; მომართვა

მომსახურების სფერო:

☐ ობიექტის ხარჯთაღრიცხვის ინსპეტირება;

☐ ობიექტის ხარჯთაღრიცხვის ფასწარმოქმნის ადეკვატურობის ინსპექტირება;

☐ ობიექტზე შესრულებული სამუშაოების ინსპექტირება (მათ შორის ფორმა #2-ის მიხედვით);

☒ ობიექტის ან მისი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის, შესრულებული სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების ინსპექტირება;

☐ ობიექტის სამშენებლო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობა - ინსპექტირება;

☐ სამშენებლო ობიექტის პროექტის (შენობის, ნაგებობის ხიდების, გვირაბების, აეროდრომების, საავტომობილო გზების და სხვა ხაზობრივი ნაგებობების) ან პროექტის ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება.

შემსრულებელი ინსპექტორი/ები და შემსრულებლის კვალიფიკაცია:

ზურაბ ხიდირბეგიშვილი. უმაღლესი განათლებით ინჟინერ მშენებელი, სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის კვალიფიკაციით. სპეციალობით მუშაობის 45 წლის სტაჟით;

გაფრთხილება

ხარისხის მართვის ინჟინერის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 168-2 და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, ინსპექტირების კვლევის ობიექტის დაუცველობისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ინსპექტორები: რამაზ ნებიერიძე

ზურაბ ხიდირბეგიშვილი

სპეციალისტის წინაშე დასმული ამოცანა:

გთხოვთ ჩაატაროთ ქ. თბილისში, მიქელაძის N6 (ისნის რაიონი) დაგეგმილი მშენებლობის ზემოქმედების შეფასება მომიჯნავე შენობა ნაგებობებზე. (შენობა ნაგებობების მდგრადობის კვლევა მისი მდგომარეობის დაფიქსირებისათვის; საინჟინრო გეოლოგიური შეფასება - ინსპექტირება; საჭირო ღონისძიებების განხორციელება-რეკომენდაციები).

გამოკვლევა:

საინჟინრო გეოლოგია:

ანგარიშზე "ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, მიქელაძის ქ. #6-ში, 8 სართულიანი, საცხოვრებელი სახლის მშენებლოსაბისათვის გამოყოფილი ნაკვეთის #074/017 საინჟინრო-გეოლოგიური პირობები".

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, მიქელაძის ქ. #6-ში, 8 სართულიანი, საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ #074/017 ნაკვეთზე ჩატარებული საინჟინრ-გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური

დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია ინდ. მეწარმე გურამ რუსტამოვის გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2016 წლის ოქტომბერში.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე ..... 7 გვ.

2. ტექნიკური დავალება ..... 1 გვ.

3. ცხრილი გრუნტების თვისებებზე .....1 გვ.

4. მოედნის ტოპოგეგმა ..... 1 ფურც.

5. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები ..... 1 ფურც.

6. მოედნის გეოლოგიური ჭრილი .....1 ფურც.

პროექტით საკვლევ უბანზე უნდა აშენდეს 8 სართულიანი საცხოვრებელი სახლი, 1 სართული მიწისქვეშა ავტოფარეხით. შენობის ზომებია გეგმაში 15X20 მ. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში. შევსება იქნება აგურით ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკველს, მისი კონსტრუქცია და ჩაღრმავება გადაწყდება მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ.

მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დასადგენად, საკვლევ მოედანზე, ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით, გაყვანილი იქნა 3 ჭაბურღილი, მათი საერთო სიგრძე შეადგენს 32 მეტრს. ჭაბურღილებიდან აღებულ იქნა ნიმუშები მათი ფიზიკო-მექანიკური თვისებების დასახასიათებლად.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დახასიათებაში მოცემულია, რომ გაბურღილი სამი ჭაბურღილიდან აღებულია ნიმუშები და მათ ჩაუტარდათ კვლევა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების მიმართულების ლაბორატორიაში.

ანგარიშში მოკლედაა დახასიათებული გეომორფოლოგიური პირობები.

ასევე ჰიდროგეოლოგიურ პირობებში მითითებულია, რომ გამოკვლეულ სიღრმეზე ჭაბურღილებში წყალი არ არის.

გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობენ პალეოგენური ასაკის ძირითადი დანალექი ქანები, არგილიტებისა და ქვიშაქვების მორიგეობით, რომელიც ზედაპირულად გადაფარულია მეოთხეული ასაკის დელუვიური თიხნარებით და ტექნოგენური სამშენებლო ნაგავით.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1.ფენა – 1 – ნიადაგის ფენა;

2.ფენა – 2 – ნაყარი გრუნტი;

3.ფენა – 3 – თიხა, ძნელპლასტიკური;

4.ფენა – 4 – არგილიტები და ქვიშაქვები, ძლიერ გამოფიტული;

5.ფენა – 4 – არგილიტები და ქვიშაქვები, სუსტად გამოფიტული.

ანგარიშს თან ერთვის ლაბორატორიული კვლევის შედეგები, კერძოდ არგილიტებისა და ქვიშაქვების სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუბშვაზე კვლევის შედეგები.

ასევე ანგარიშში მოცემულია დასკვნები და რეკომენდაციები, სადაც აღნიშნულია გეოლოგიური პირობები, საძირკვლის ტიპის სავარაუდო ვარიანტები, ძირითადი ქანების არგილიტების და ქვიშაქვების სიმტკიცის ზღვრები ერთღერძა კუბშვაზე, ქვაბულის გვერდების დასაშვები დროებითი დახრა, სამშენებლო მოედნის სეისმურობა, აღნიშნულია, რომ მიეკუთვნება 8 ბალიან სეისმურ ზონას და `სეისმური მშენებლობა" (Ან 01.01 – 09) ცხრილის მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას, ასევე დასკვნაში მითითებულია გამოკვლეულ უბანზე გავრცელებული გრუნტების კატეგორია.

ანგარიშის მიმართ გაგვაჩნია რამდენიმე შენიშვნა:

-ანგარიში უნდა იყოს ცალკე წიგნად აკინძული;

-ანგარიშში აკლია ხელმოწერები;

-ჰიდროგეოლოგიურ დახასიათებაში უნდა იყოს აღნიშნული ჭაბურღილებში აღინიშნება თუ არა წყლის გამონაჟონვები;

-გეომორფოლოგიურ დახასიათებაში უნდა იყოს აღნიშნული ფერდობის დახრილობა;

-საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები უნდა იყოს ცალ-ცალკე ფურცლებზე და უნდა დაერთოს ფიზიკო-მექანიკური თვისებების ცხრილი;

-საინჟინრო-გეოლოგიურ ჭრილზე, ჭაბურღილებში აბსოლუტურ ნიშნულებთან ერთად უნდა იყოს მითითებული სიღრმეები;

-ჭაბურღილებში ნაჩვენები უნდა იყოს გრუნტის ნიმუშის აღების ადგილები;

-ანგარიშში არ არის აღნიშნული ზედაპირული წყლების მოცილების აუცილებლობა;

-ანგარიშში არ არის მითითებული ამგები გრუნტების კატეგორია სეისმურობის მიხედვით.

დაგეგმილი მშენებლობის ზემოქმედების შეფასება მომიჯნავე შენობა ნაგებობებზე

ქ. თბილისში მიქელაძის N6 მშენებარე 8 სართულიანი სახლის ფუნდირება ხდება კლდოვან ქანებზე, (არგილიტებისა და ქვიშაქვების მორიგეობით). ფუნდამენტის ქანების მზიდუნარიანობა, (დამკვეთის მიერ მოწოდებული ლაბორატორიული კვლევის შედეგის მიხედვით მინიმუმ 25 კგ/სმ²) ბევრად აღემატება შენობა-ნაგებობებისაგან მოსულ დატვირთვებს. ვინაიდან შენობა ნაგებობების დატვირთვები გადაეცემა ვერტიკალურად და ფუნდამენტის ქანები კლდოვანია, არავითარი გვერდითი ზემოქმედების ეფექტი მომიჯნავე საცხოვრებელ სახლებს არ ექნება.

გამომდინარე აქედან, 8 სართულიანი საცხოვრებელი სახლის გარშემო მდებარე შენობა-ნაგებობებზე რაიმე სახის ზემოქმედება გამორიცხულია.

ინსპექტორი: რამაზ ნებიერიძე

ტექნიკური მდგომარეობა

მომართვის თანახმად დასადგენია ქ. თბილისში მიქელაძის N6 (ისნის რაიონი) მშენებარე სახლის მომიჯნავე შენობა ნაგებობების მდგრადობის კვლევა (ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე) მისი მდგომარეობის დაფიქსირებისათვის; საჭირო ღონისძიებების განხორციელება-რეკომენდაციები).

მშენებლობის ნებართვა გაცემულია "საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად. ბრძანება N 3098949. გაცემის თარიღი 15/02/2017 წ.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის დადგენილება N57, მუხლი 35-ის შესაბამისად ჩატარდა მიქელაძის N6-ში გამოყოფილ N74/017 ნაკვეთში ასაშენებელი საცხოვრებელი სახლის ქვაბულის გამოკვლევა და მისი მომიჯნავე შენობების მდგომარეობის შესწავლა.

სამშენებლო მოედნის მთლიანი ფართი შეადგენს 349მ². მოშენების ფართი შეადგენს 293,85მ².

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების თანახმად, ახალი მშენებლობის წარმოების პირობებში უნდა მოხდეს არსებულ შენობა-ნაგებობებზე ზემოქმედების შეფასება, რომლის მომიჯნავედაც დაგეგმილია მშენებლობა.

საინჟინრო გეოლოგიური ანგარიშის თანახმად, "ქვაბულის ფერდობის მაქსიმალური დასაშვები დახრა უბნის ამგები გრუნტებისათვის მიღებულ იქნას ს. ნ. და წ 3.02.01-87, პპ 3.11; 3.12; 3.15 პუნქტებისა და ს. ნ. და წ. I I I-4-80 IX თავის მოთხოვნით, ქვიშაქვებისა და არგელიტებისათვის დროებით დახრად მიღებულია 70°." (იხ. საინჟინრო გეოლოგიური პირობები. პნ 9)

დღეისათვის სამშენებლო მოედნის ფარგლებში რელიეფი ვერტიკალურადაა ჩაჭრილი და გაშიშვლებულია დელუვიური და კლდოვანი ქანები. (ფოტო N 38; 39; 40; 41). ქვაბულის მარჯვენა წინა კუთხის ჩაღრმავება შეადგენს 6,1მ. მარჯვენა უკანა კუთხე - 8,2მ; მარცხენა უკანა კუთხის ჩაღრმავება შეადგენს 5,8 მ. მარცხენა წინა კუთხე სრულად არ არის ამოღებული. აქვე აღსანიშნავია, რომ გრუნტის მარცხენა წინა კუთხე დაბზარულია.

ქვაბულის მომიჯნავე სახლის (ს/კ 01.17.08.074.010) საძირკვლის დაშორება ამოღებული ქვაბულის კედლიდან შეადგენს ვერტიკალური მიმართულებით 3,2მ., ჰორიზონტალური

მიმართულებით 1,7მ. რაც ახლოსაა საინჟინრო გეოლოგიურ ანგარიშში მითითებულ დროებით დახრილობასთან (70˚), რის გამოც საძირკვლის მოწყობის ხანგრძლივად დაყოვნების შემთხვევაში მოსალოდნელია ზედაპირული ტექნოგენური და თიხური გრუნტების მდგრადობის დაკარგვა, რაც თავის მხრივ გამოიწვევს გრუნტის ჩამოშლას. (ფოტო N47; 48; 49; 50; 64; 65; 66; 70)

ქვაბულის მომიჯნავე მაცხოვრებელის, (ს/კ 01.17.08.074.008) ღობის კედელი იმყოფება დაბზარული გრუნტის თავზე და წარმოადგენს საშიშროებას სამშენებლო სამუშაოთა წარმოებისთვის. (ფოტო N41)

გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ამოღებული ქვაბულის მარცხენა კედლის მდგომარეობა უფრო სახიფათოა, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია, სასწრაფოდ მიწის სამუშაოების დასრულება და სარდაფის სართულის მოწყობა.

გამომდინარე იქედან, რომ მომიჯნავე არსებული შენობა-ნაგებობები განლაგებულია ამოღებულ ქვაბულის საძირკველის საზღვარზე (ფოტო N 38; 39; 40; 41), ამიტომ არსებულ შენობა-ნაგებობების მეპატრონეთა მოთხოვნით ჩვენს მიერ ვიზუალური დათვალიერების და გაზომვების საშუალებით ჩატარდა მათი ნაგებობების მდგრადობის გამოკვლევა.

მომიჯნავე შენობების კონსტრუქციების გამოკვლევამ გვიჩვენა,რომ:

სამშენებლო მოედნიდან მარცხნივ პირველ სახლს (ს/კ 01.17.08.074/008) ახალი ბზარები არ გააჩნია. ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ კედელზე (გამყოფი კედელი) აღინიშნება მხოლოდ ძველი ბზარები (ფოტო N 23; 24; 25; 26; 27; 28); შიდა ოთახებში აღინიშნები მცირე ზომის ძველი ბზარები (ფოტო N43; 44; 45; 46);

სამშენებლო მოედნიდან მარცხნივ მეორე სახლის (ს/კ 01.17.08.074.010) მეპატრონემ გვიჩვენა, რომ საზღვართან გამყოფი ღობე, რომელიც შედგენილია ანაკრები კონსტრუქციებისაგან, მცირედ დაზიანდა ქვაბულის ამოღების შემდეგ. გაზომვის ადგილები მითითებულია ბზარის გახსნის ადგილებზე, ბზარის გახსნის სიდიდე შეადგენს 1 მმ-ს (ფოტო N1; 2; 7; 8; 9; 11;). უშუალოდ სახლზე მნიშვნელოვანი ბზარები არ აღინიშნება. ნაწილობრივ მცირე გახსნის სიდიდე აღინიშნება ვერტიკალური ბზარის სახით შენობის ძველ და მოგვიანებით მიშენებულ ნაწილებს შორის. (ფოტო N11). შენობის შიგა მხრიდან ნალესში აღინიშნება მცირე სიდიდის ბზარები (ფოტო N 13; 14; 15; 16; 17; 18; 19; 20; 21; 22; 63; 64; 65;); ქვედა სართულზე დაზიანებები არ შეინიშნება.

სამშენებლო მოედნიდან მარცხნივ მესამე სახლს (ს/კ 01.17.08.074.015) ახალი ბზარები არ აღენიშნება (ფოტო N12; 29; 30; 31; 32; 61; 62;);

სამშენებლო მოედნიდან მარჯვნივ პირველ სახლს (ს/კ 01.17.08.074.019) მიშენებულ ნაწილში ახალი ბზარები არ აღენიშნება (ფოტო N33; 34; 35; 36;); ქვაბულის პირა ღობე, სანკვანძებსა და შენობას შორის, არის ძველი და დარღვეულია სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე (ფოტო N37; 51; 52; 53; 57; 59);

სამშენებლო მოედნის უკანა კედლის მოსაზღვრად, ხელმარჯვნივ ნაგებობის (ს/კ 01.17.08.074.005) მეპატრონე, მეზობლების განმარტებით, საქართველოში არ იმყოფება. შესაბამისად, ვერ მოხერხდა აღნიშნული ნაგებობის შიგნიდან დათვალიერება. შესწავლა მოხდა მხოლოდ გარე კონტურებზე. გარე კონტურებზე ახალი ბზარები არ აღინიშნება. (ფოტო N 54; 55; 56; 58; 60; 67; 68; 69)

დღეისათვის მშენებლობის მომიჯნავედ არსებული შენობა-ნაგებობების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

ქვაბულის გვერდები დღეისათვის მდგრადია, მაგრამ შემდგომში გაშიშვლებულ და ვერტიკალურ მდგომარეობაში მათი დატოვება დაუშვებელია, რადგან ატმოსფერული ნალექისა და ეროზიის ზემოქმედების შედეგად ქვაბულის გვერდების ჩამოშლა გამოიწვევს მომიჯნავედ არსებული ნაგებობების დაზიანებას.

ამ პროცესის თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია სასწრაფო ღონისძიებების გატარება, კერძოდ: ქვაბულის ზედაპირამდე პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულება.

რეკომენდაცია:

სხვგვარი გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება, ისეთები როგორიცაა: ტორკრეტირების სამუშაოები, რკინაბეტონის პერანგის მოწყობა, ჰორიზონტალური და ვერტიკლური კარკასის მოწყობა, ამ სამუშაოების ჩატარების პროცესში გამოიწვევს არსებული მომიჯნავე შენობების დაზიანებას.

ტექნიკური მენეჯერი: ზურაბ ხიდირბეგიშვილი

დასკვნა

საინჟინრო გეოლოგია

ჩაატრებული საინინრო-გეოლოგიური სამუშაოები ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, მიქელაძის ქ. #6-ში, 8 სართულიანი, საცხოვრებელი სახლის მშენებლობისავის გამოყოფილ #074/017 ნაკვეთზე, აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით. წარდგენილ საინჟინრო-გეოლოგიურ ანგარიშს, მიუხედავად გამოთქმული მცირე რედაქციული სახის შენიშვნებისა, რომლებიც არ იმოქმედებს პროექტის ხარისხზე, შეიძლება მიეცეს რეკომენდაცია და საფუძვლად დაედოს საცხოვრებელი სახლის მშენებლობის პროექტს.

დაგეგმილი მშენებლობის ზემოქმედების შეფასება მომიჯნავე შენობა ნაგებობებზე

ქ. თბილისში მიქელაძის N6 მშენებარე 8 სართულიანი სახლის ფუნდამენტის ქანების მზიდუნარიანობა, ბევრად აღემატება შენობა-ნაგებობებისაგან მოსულ დატვირთვებს. ვინაიდან შენობა ნაგებობების დატვირთვები გადაეცემა ვერტიკალურად და ფუნდამენტის ქანები კლდოვანია, არავითარი გვერდითი ზემოქმედების ეფექტი მომიჯნავე საცხოვრებელ სახლებს არ ექნება.

გამომდინარე აქედან, 8 სართულიანი საცხოვრებელი სახლის გარშემო მდებარე შენობა-ნაგებობებზე რაიმე სახის ზემოქმედება გამორიცხულია.

ინსპექტორი: რამაზ ნებიერიძე

ტექნიკური მდგომარეობა

- ქ. თბილისში, მიქელაძის N6-ში გამოყოფილ N74/017 ნაკვეთში ასაშენებელი საცხოვრებელი სახლის ქვაბულის მომიჯნავედ არსებული შენობა-ნაგებობების მდგომარეობა დღეისათვის დამაკმაყოფილებელია.
- მიქელაძის N6-ში გამოყოფილ N74/017 ნაკვეთში ასაშენებელი საცხოვრებელი სახლის ქვაბულის გვერდები დღეისათვის მდგრადია, მაგრამ შემდგომში გაშიშვლებულ და ვერტიკალურ მდგომარეობაში მათი დატოვება დაუშვებელია, რადგან ატმოსფერული ნალექისა და ეროზიის ზემოქმედების შედეგად ქვაბულის გვერდების ჩამოშლა გამოიწვევს მომიჯნავედ არსებული შენობა-ნაგებობების დაზიანებას. ამიტომ, აუცილებლობას წარმოადგენს ქვაბულის ზედაპირამდე პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულება.

ტექნიკური მენეჯერი: ზურაბ ხიდირბეგიშვილი

ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: დავით ჯიბლაძე



ფოტო N1



ფოტო N2



ფოტო N3



ფოტო N4



ფოტო N5



ფოტო N6



ფოტო N7



ფოტო N8



ფოტო N9



ფოტო N10



ფოტო N11



ფოტო N12



ფოტო N13



ფოტო N14



ფოტო N15



ფოტო N16



ფოტო N17



ფოტო N 18



ფოტო N19



ფოტო N20



ფოტო N21



ფოტო N22



ფოტო N23



ფოტო N24



ფოტო N25



ფოტო N26



ფოტო N27



ფოტო N28



ფოტო N29



ფოტო N30



ფოტო N31



ფოტო N32



ფოტო N33



ფოტო N 34



ფოტო N35



ფოტო N36



ფოტო N37



ფოტო N38



ფოტო N39



ფოტო N40



ფოტო N41



ფოტო N42



ფოტო N43



ფოტო N44



ფოტო N45



ფოტო N46



ფოტო N 47



ფოტო N48



ფოტო N49



ფოტო N50



ფოტო N51



ფოტო N52



ფოტო N53



ფოტო N54



ფოტო N55



ფოტო N56



ფოტო N57



ფოტო N58



ფოტო N59



ფოტო N60



ფოტო N61



ფოტო N62



ფოტო N63



ფოტო N64



ფოტო N65



ფოტო N66



ფოტო N67



ფოტო N68



ფოტო N69



ფოტო N70

საქ GAC

სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო –
აკრედიტაციის ცენტრი“

აკრედიტაციის მოწმობა

GAC-IB-0100

ადასტურებს, რომ

შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“-ს

A- ტიპის ინსპექტირების ორგანო

მდებარე: ქ. თბილისი, ერისთ მანჯგალაძის ქ. #35

შეესაბამება და აკმაყოფილებს ეროვნული სტანდარტის

სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013-ის მოთხოვნებს

აკრედიტებულია შემდეგ სფეროში: 1. ობიექტის ხარჯთაღრიცხვის ინსპექტირება; 2. ობიექტის ხარჯთაღრიცხვის ფასწარმოქმნის ადეკვატურობის ინსპექტირება; 3. შესრულებული სამუშაოების ინსპექტირება (მათ შორის ფორმა #2-ის მიხედვით); 4. ობიექტის ან მისი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის, შესრულებული სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების ინსპექტირება; 5. ობიექტის სამშენებლო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობა/ინსპექტირება; 6. სამშენებლო ობიექტის პროექტის (შენობის, ნაგებობის ხიდების, გვირაბების, აეროდრომების, საავტომობილო გზების და სხვა ხაზობრივი ნაგებობების) ან პროექტის ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება, მათ შორის: საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა/დასკვნა; საინჟინრო-ჰიდროლოგიური კვლევა/დასკვნა; კონსტრუქციული ნაწილი; საინჟინრო ქსელები (ელ. მომარაგების სისტემები, სუსტი დენების სისტემები) და მათი ტექნოლოგიური ნაწილი; საინჟინრო ქსელები (წყალმომარაგება, კანალიზაცია, წყალარინება) და მათი ტექნოლოგიური ნაწილი; საინჟინრო ქსელები (ვენტილაცია, კონდიციონება, გათბობა) და მათი ტექნოლოგიური ნაწილი; შრომის უსაფრთხოების ღონისძიებები; აფეთქების და ხანძრის უსაფრთხოების ღონისძიებები; (იხ. დანართი - „აკრედიტაციის სფერო“).

აკრედიტაციის ცენტრის
გენერალური დირექტორი

რეგისტრაციის თარიღი
17 მარტი 2017 წ.

ძალაშია
21 სექტემბერი 2020 წ.

საქ GAC

0186 თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №42ა

დამზადდა: სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი“